ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №51

12 სექტემბერი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
საკრ.№15-032324443-03 1/09/23 (№11-01232442872); საკრ.№15-032324971-03 6/09/23 (№11-01232492400,)საკრ.№15-03232551-03 12/09/23 (№11-01232543547).
დღის წესრიგი დამტკიცდა.

წარმოდგენილი კვრატალური ცვლილებების შესახებ ისაუბრა ლევან მიქავამ.
შესათანხმებლად წარმოდგენილია ნაძალადევის ,სამგორის, დიდუბის,მთაწმინდის და ვაკის რაიონული გამგეობეის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებებეი „გზების მოვლა-შეკეთების“ , „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ და „ბინათლესაკუთრეთა აქმხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაშებში. ძირითადად თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან მესამე კვარტალში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე და პირიქით მესამედან მეოთხე კვარტალში გადატანა. ასევე კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით პროგრამაში „მუზეუმების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 03 12) მესამე კვარტალს ემატება 5 000 ლარი მეოთხე კვარტლიდან.აღნიშნული სჭირდებათ სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის საიჯარო ქირისთვის, რომელც დროებით განთავსებულია დაქირავებულ ფართში.
საერთო ჯამში გადასახდელებში 1 197 313 ლარის გადმოტანა ხდება მეოთხედან მესამე კვარტალში და პირიქით 1249452 ლარი გადადის მესამედან მეოთხე კვარტალში.

მომხრე- 6 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო **კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:**
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის

მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**